გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-საბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებია უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


## გამოვიდა და ისყიდება

სამეურნეო საზოგადოებასა და ზაქ. პეტრეს ძეს გრიქუროვთან **არჩილ დარეჯანაშვილი** მიერ შედგენილი წიგნები:

ა) ხეხილების დარგვა და მისი მოვლა, 15 სურათით, ფასი აბაზი.

ბ) Краткое наставленіе о размноженіи плодовыхъ деревъ и кустарниковъ съ 15 рисунками.

ფასი აბაზი.

(10—7)


### ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

ამით უცხადებს ამა ბანკის ბ-ნთ წევრთა დამფუძნებელთა და მესესხებელთ, რომ, წესდების მე-82 §-ის საფუძვლით, ამა ივლისის 26 რიცხვისათვის, დილის 9 საათზედ, საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება.

განსახილველი საგანი:

ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება იმის შესახებ, რომ 12,000 მანეთი გადაიდოს ხოლერასთან საბრძოლველად ტფილისის გუბერნიის სოფლის მკვიდრთა უზრუნველ-საყოფელად.

(3—3)


ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება „ამხანაგობის“ მიერ გამოცემული

## ჩანგი,

ახლად შედგენილი ვ. აბაშიძის მიერ

ამ წიგნებში გადმობეჭდილია აგრეთვე პირველი ნაწილიდგან საუკეთესო სცენები და ლექსები

წიგნი შეიცავს 580 გვერდს.

ფასი 1 მანეთი.

ქალაქ გარედ ისყიდება ამხანაგობის აგენტებთან.


## ახალი ამბავი

*** ტფილისის მიხეილის სამკურნალოში დილით 13 ივლისს ავად იყო 18 კაცი და 10 ქალი. 13 ივლისს კიდევ მიიყვანეს 7 კაცი: სარქის-ოღლი (7 ნაწილი, ჟანდარმების ვიწრო ქუჩა, № 10), ოსიფოვი (7 ნაწილი, მოროშის ვიწრო ქუჩა, № 20), ხუდავერდი-ოღლი (6 ნაწილი, შეითან-ბაზარი, ჰაჯი-ალიას დუქანი), აკოფოვი (5 ნაწილი, ფრიდონოვის ქარვასლა), კოზლენკო (8 ნაწილი, გონჩაროვის ქუჩა, № 2), ვასილიევი (8 ნაწილი, ყრუ ქუჩა, № 2) და დანელიანცი (7 ნაწილი, პოლოსოვის სახლი). მორჩა ბაინდურიანცი. 14 ივლისს წინა ღამეს მიიყვანეს 3 კაცი: კარახანოვი (9 ნაწილი, ალექსეევის ქუჩა, № 14), ლუბკინი (ანდრეევის ქუჩა, ლიშტაევის სახლი) და კარშოვი (3 ნაწილი—საეჭვო ავადმყოფია). იმავე ღამეს გარდაიცვალა 3 კაცი: გრომოვი, კოლესნიკოვი და სტეფანიშვილი.

ავად გახდნენ: 11 ივლისს ტფილისის მოქალაქე თევდორე ელოვოი, 11 წლისა (ჩუღურეთი, ნადიროვის მამული); 12 ივლისს: ნადეჟდის სახელობაზედ დაარსებულ თავ-შესაფარში—იოსებ ზაპრუტნიცკი, 10 წლისა, და სამხედრო სამკურნალოში გაჰგზავნეს; 13 ივლისს: მაკა პაპოვისა, 25 წლისა, და ძუძუ მწოვარა ყმაწვილი; ოსმალეთის ქვეშევრდომი ალასკარ-მირზა - ბაბა-ოღლი. (6 ნაწილი, საბოტანიკო ქუჩა, ახუნდოვის სახლი) და იმავე დღეს გარდაიცვალა; ოსმალეთის ქვეშევრდომი ყარამან აკოფოვი, 95 წლისა (2 ნაწილი, ფრიდონოვის ქარვასლა), ანნა ასარტაკი, 23 წლისა და მისივე 4 წლის ქალი მარიამი (10 ნაწილი, დიდუბეს ახლო). 10 ივლისს ავად გამხდარი სოფიო ლალაიანცი უკვე რჩება.

მეტეხის ციხის სამკურნალოში მორჩა პატიმარი მაჰამედ-უსეინ-ოღლი.

8 ივლისს სიღნაღის მაზრის დაბა ლაგოდეხში ავად გახდა საეჭვო ავადმყოფობით ერთი ჯარის-კაცი. ავადმყოფს სწამლობენ.

სიღნაღის მაზრის უფროსი იუწყება: „მეორე ავადმყოფი რჩება. ავად აღარავინ გამხდარა“.

თიონეთის მაზრის სოფ. იუეგაურთში ხოლერით გარდაცვლილ გლეხის ცოლის მარიამ ბურდულის ქალიც გარდაიცვალა ხოლერითვე. ამათ მეტი ხოლერით აღარავინ გამხდარა ავად.

ბორჩალოს მაზრის სოფ. ეკატერინენფელდში ავად გახდა ხოლერით სამი კაცი და ერთი ქალი, ამათში გარდაიცვალა სამი და ავად არის ერთი კაცი. ყველგან დეზინფექცია მოახდინეს.

ბორჩალოს მაზრის სოფ. ფარახლოში ავად გახდა ხოლერით 10 ივლისამდე 5 კაცი და 4 ქალი, გარდაიცვალა: 2 კაცი და 1 ქალი, მორჩა: 1 კაცი და 2 ქალი. დანარჩენების მორჩენის იმედი აქვთ.

*** დილით, 14 ივლისს, ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში იყო ხოლერით ავად: 24 კაცი და 10 ქალი; დღისით მიიყვანეს 3 კაცი: ხალათოვი (აიყვანეს ვორონცოვის ქუჩაზედ, 6 ნაწ.), ჩუმარიანცი (სახ. არაქელოვისა, 5 ნაწ.) და პეტნიკოვი (ძველ დამოქნას ახლო, 6 ნაწ.); მორჩა ორი კაცი და ორი ქალი: დანელიანცი, პანტელეევი, ტერ-ზაქაროვი და მიკირტიჩევი. 15 ივლისს წინა ღამეს მოიყვანეს ორი კაცი: იაკუბოვი (მუხრანიანთ ქუჩა, 8 ნაწ.) და ქეშიშ-ოღლი (იარმუკა, 5 ნაწ.) ამ ღამეს მორჩა ორი ქალი: სატინიკა და მელანია მებაღიშვილნი. ამავე ღამეს გარდაიცვალა ორი კაცი: კობელენკო და ლუბკინი. დილით 15 ივლისს იყო: 25 კაცი და 6 ქალი.

ამას გარდა საავადმყოფოში მოიყვანეს მეეტლე სადგურ წილკანიდგან ნიკო პავლეშვილი, რომელიც ნახევარს საათს შემდეგ გარდაიცვალა.

მიწის მზომელს ნიკიფოროვს, რომელიც 11 ივლისს მოიყვანეს საავადმყოფოში, გამოაჩნდა უბრალო ციება და 16 პალატაში გადიყვანეს.

დროებით სპარსელებისთვის აგებულს საავადმყოფოში 14 ივლისს მიიყვანეს 3 კაცი, რომელთაგანაც

# ფელეტონი

## ხალხური ლექსები

(შეკრებილი ამერ-იმერეთში მეთვალყურეს მიერ)

### სატრფიალონი

ლექსები ვიცი იმდენი,
დიღმის მინდორზედ გძელია;
თუ გინდა შინაც გაგატან,
მოგაწყვეტინო წელია.

ჩემი ძმა გადამეკიდა:
„ბიჭო, შეირთე ცოლიო“.
მთიულის ქალი დავნიშნე
ბრიყვი და გაუზდელიო;
მერე ლექსი გამომითქვეს,
საკიცხავ, სალანძღველიო:
„მთიულის ქალი შეირთო
ბრიყვი და გაუზდელიო;
ტლანქი და ჩასუქებული,
გოგროხას უგავს წელიო;
სამი სარტყელი უყიდა,
სამივე ჭია ფერია;
წვერი-წვერზედ გადააბა;
ერთიც არ შემოსწვდენია;
გერისთობას წაიყვანა
მორთული საკვირველიო,
ურემში არ ჩაეტია,
ცხენს მოუწყვიტა წელიო“.

—

ქალო, შენი ეგ მიყვარდა
ეზო-ეზო სიარული,
ტანთ-ჩაცმა, თავ-დახურვა
თეთრი პირი მხიარული.
წარბი გიგავს ვაზის წალამს,
წამწამი მელან-თალაქსა,
საითაც შენ გათხოვდები,
ნეტავ იმ სოფელ-ალაგსა.

—

იარე, ქალო, წავიდეთ,
მინდორს ყანები ვნახოთო,
დავკრიფოთ ია და ვარდი,
დავსხდეთ და ლხინი ვნახოთო.

—

ამ სოფლისთანა ქალები
არ არის ქვეყანაზედა.
დამწკვრივდებიან მუშაზედ,
როგორც ვარსკვლავი ცაზედა;
საღამოს მოიმღერიან
სხვა-და-სხვა ტურფა ხმაზედა...
ნეტაი იმათს ოჯახსა,
ვისაც მიუათ კარზედა!

—

ქართლის ქალო, შენი ქება,
რომ არა ვსთქვა, არ იქნება:
შენისთანა ლამაზიცა
ქვეყანაზედ ვინ იქნება.

—

ციდგან წამოვა ტოროლა,
ჩამოსთვლის გალობასაო...
წიგნი, ქრა-კერვა გცოდნია
ნეტა შენ ქალობასაო.

—

აქაური სანადირო
კურდღელი და მელიაო...
გოგო, ერთი მაკოცნინე,
გული გადამელიაო.

—

მინდვრის მწყერი მოდიოდა,
მოკოჰლობდა ნართაგანა...
დამწვარი ვარ დადაგული
ამპარტავან ქალთაგანა.

—

საყვარელი მისთვის მინდა,
სიცოცხლეში გამახაროს,
მოვკვდე მიწას მიმაბაროს,
ცხარე ცრემლი დამაყაროს;
მამულს ისე მოუაროს,
რომ ზედ მტერი არ ახაროს.

—

არგვეთის ამბავს თუ მკითხავთ,
ბოლოსა აქვს დიდი ტევრი;
ღელის წისქვილი უშრებათ,
ქალებია მათი მფქველი.
ორშაბათ დილა გათენდა,
ქვევით მიდის ქალის ჯარი,
ქვეყანაზედ არ იქნება
მუშა ქალი მათი ცალი,
თოხ-ტატაბი მხარზე უდევთ,
ხელში კიდევ თითის ტარი.
საღამოს სამუშევრიდგან
მდდის მთელი სოფლის ქალი.
მოდიან, მოიმღერიან
როგორც დარაზმული ჯარი.
„ნადურის“ გუგუნს ბანს აძლევს
ბურღნალი და მთა და ბარი.
ნეტავი იმის ოჯახსა,
ვინც იქ აირჩია ქალი!

—

სამკალშია შევიწიე
ე სოფლის გოგო-ქალიო;
ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ,
ძნა დავდგი დიდი ძალიო.
ყველაზე კარგადა მკიდა
ოთარას პატარძალიო,
მაგრამ, ჯობნიდა მკაშია
ი გელხას ტურფა ქალიო;
ლოყები დასწითლებოდა,
როგორც რო ნაკვერცხალიო,
იმან მიჩხვლიტა გულშია,
ზედ დამრჩა ორივ თვალიო,
თუ ცოლად არ წამამყვება,
სხვა ნუ მეღირსოს ქალიო.

—

### „ჩარირამა“

(სიმღერა)

ჩარირამა მანანაო!
ქალო, შენმა სიყვარულმა
მე სიცოცხლე მანანაო!
ჩარირამა მაგდანელო?
ჩემო დამწველ-დამდაგველო.
ჩარირამა გულქანაო!
თეთრ-ფუნჩულა, სუქანაო;
შენმა მაყვალა თვალ-წარბმა,
ჩაატანა გულთანაო.
ჩარირამა ბიცოლაო.
ჩვენ შიმშილით ვიხოცებით,
არა გამოგვიცხვარაო.
ჩარირამა ძამიაო!
ჩვენი ასე გაჩერება
სიმწარე და შხამიაო...
ჩარირამა გაგანაო!
ნეტავი შემაძლებინა
მამიყვანა მადანაო.
ჩარირამა ბიძიაო!
რხმალ-ხანჯალი ჩაგვიჟანგა,
ველარ ამოგვიძვრიაო.
ჩარირამა ბებიაო!
აბრეშუმმა გვიღალატა,
ბამბა მაინც ბევრიაო.
ჩარირამა მამიდაო!
ნეტა მოგვცა ის ძალ-ღონე,
როგორც ეხლა ჩვენ გვინდაო.
ჩარირამა ბაბუაო!
ქართულ თუთუნს ვერ გიშოვნი,
მახორკამა გაბრუაო...
ჩარირამა მატრონაო!
ნეტავი ჩვენ სახლსა და კარს
ჩვენვი დაგვაპატრონაო...

ერთი მორჩა; დილას 15 ივ. საავადმყოფოში ორი დარჩა.

მიხეილის საავადმყოფოს გარეშე ავად გახდნენ: 12 ივლისს მეეტლეს ცოლი ანნა კოზლოვისა (ნიკოლოოზის ქუჩა 10 ნაწ.), 13 ივლისს ქუთაისის გუბერ. მცხოვრები ნესტორ არველიძე (ორთაჭალაში, 6 ნაწ.); 14 ივლისს გახდა ავად ბესარიონ კირსულაშვილი (წყლის ნაპირი, ვეტცელის ლუდის ქარხანა). ქალიშვილი მიხაილოვისა (დიდუბე, 10 ნაწ.).

14 ივლ. გაისტუმრეს სამხედრო გოსპიტალში სერგეი ახშარუმოვი (კონსტანტინეს ქუჩა, 7 ნაწილი) გაგზავნილი 9 ივლ. იმავე გოსპიტალში ნადეჟდას თავშესაფარის მოწაფე ვანო სადოვსკი გარდაიცვალა.

გარდაიცვალა 13 ივლ. მაკა პაპოვისა, რომელსაც შინა სწამლობდნენ.

გორის მაზრის უფროსი იუწყება, რომ სოფ. ურბნისში ხოლერისაგან გარდაიცვალა ორი კაციო: გლახა თეთრუაშვილი და გიორგი ინდუაშვილი, და ორი ქალი: ე. ხიზანაშვილისა და ეკატერინე ინდუაშვილისა. ამათ გარდა კიდევ ავად გახდა ოთხი კაცი. ურბნისში გაიგზავნა ცხინვალის ექიმი.

თელავის მაზრის უფროსი იუწყება, რომ ორსავე შემთხვევას ავადმყოფებისას, რომელიც მაზრაში იყო, ხოლერის ნიშნები არა ჰქონდაო.

ბორჩალოს მაზრის უფროსი იუწყება, რომ სარაჩლოში, ფახრალოში, იმერში და ეკატერინენფელდში კიდევ ავად გახდა 16 კაცი, მოკვდა 6.

სიღნაღის მაზრის უფროსი იუწყება: განჯის გუბერნიიდგან დედოფლის წყაროზედ მოვიდნენ ვორონეჟის გუბერნიის გადმოსახლებულნი 32 სული, ამათში სამი მოკვდა ხოლერის ნიშნებით და ერთიც ავად გახდა. სოფ. ვაქირში ერთი მოკვდა ხოლერით და ერთიც ავად გახდა.

ტფილისის მაზრის სოფ. გორგი წმიდაში გარდაიცვალა ხოლერით ივანე მეკოკიშვილი. იმის სახლს დეზინფექცია გაუკეთეს.

ჯალალ-ოღლში გარდაიცვალა ხოლერით ალექსანდრეპოლის მაზრის მცხოვრები არშაკ გევორქოვი.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 11 ივლისს სამკურნალოში მიიყვანეს 10, გარდაიცვალა 3, მორჩა 7, სამკურნალოში არის 89; სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა 7. გუბერნიაში ავად გახდა 128, გარდაიცვალა 101, მორჩა 54. სამხედრო სამკურნალოში მიიყვანეს 2, ავად არის 30. ბაქოს საპატიმროში გარდაიცვალა 1, მორჩა 1, ავად არის 9.

12 ივლისს სამკურნალოში მიიყვანეს 8, გარდაიცვალა 3, მორჩა 12, სამკურნალოშია 82; სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა 6; გუბერნიაში ავად გახდა 188, გარდაიცვალა 140, მორჩა 14, ავად არის 94. სამხედრო სამკურნალოში ავად არის 30; ბაქოს საპატიმროს სამკურნალოში მიიყვანეს 1, გარდაიცვალა 1, მორჩა 3, ავად არის 8.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 11 ივლისს შუშაში ავად გახდა 9, მორჩა 3, გარდაიცვალა 2, ავად არის 2; მაზრაში ავად გახდა 31, მორჩა 16, გარდაიცვალა 13, ავად არის 4. განჯაში ავად გახდა 31, მორჩა 15; მაზრაში ავად გახდა 26, მორჩა 5, გარდაიცვალა 29, ავად არის 7. ნუხაში ავად გახდა 14, მორჩა 3, გარდაიცვალა 8, ავად არის 16; მაზრაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, ავად არის 2; ჯებრაილის მაზრაში მორჩა 1, ავად არის 2; ჯევანშირის მაზრაში ავად გახდა 24, მორჩა 5, გარდაიცვალა 11, ავად არის 19; არეშის მაზრაში ავად გახდა 17, მორჩა 2, გარდაიცვალა 4, ავად არის 16; ზანგეზურის მაზრაში ავად გახდა 37, მორჩა 12, გარდაიცვალა 19, ავად არის 10. მთელს გუბერნიაში 116 ავადმყოფია.

*** დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 11 ივლისს თემირ-ხან-შურაში გარდაიცვალა 1, მორჩა 1. პეტროვსკაში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 5; ოლქებში ავად გახდა 193, გარდაიცვალა 90, მორჩა 53, ავად არის: პეტროვსკში 31, დარუბანდში 2; ოლქებში: კიურინისაში 136, კაიტაგოტაბასარანისაში—52, სამურისაში—95, დარგინისაში—19, ყაზიკუმუხისაში—22, თემირხანშურისაში—132 და გუნიბისაში—1.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: 11 ივლისს ნახიჩევანში ავად გახდა 12, გარდაიცვ ლა 4; მაზრებში ავად გახდა 3.

ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 12 ივლისს ბათუმში ხოლერით გარდაიცვალა რიაზანის გუბერნიის მცხოვრები ლაკაშკინი.

*** ოფიციალურ ცნობებით ხოლერის დაწყებიდგან, ე. ი. 11 ივნისიდგან 14 ივლისამდე, ტფილისში ავად გამხდარა სულ 230 კაცი.

*** სამშაბათს, 14 ივლისს, შუადღის 3 საათზედ, გაემგზავრნენ კისლოვოდსკში კავკასიის მთავარ-მმართებელი ს. ა. შერემეტიევი და მთავარ-მმართებლის კანცელარიის დირექტორი ვ. პ. შატილოვი.

*** 14 და 15 ივლისს შემდეგი შემოწირულებანი მოუვიდა ქალაქის გამგეობას ხოლერისაგან დაზარალებულ სახლობათა სასარგებლოდ: ა. კ. ტერ-ასატუროვისაგან—100 მანეთი, გ. ს. ივანოვისაგან—25 მ., ი. პ.—3 მ., საკრედიტო დაწესებულებისაგან—150 მ., კ. მ. ალიხანოვისაგან—100 მ., თავმჯდომარესაგან მეცხრე რაზმისა—10 მ., ნ. გრუზენბერგისაგან—10 მ., გ. ოდინცოვისაგან—10 მ., საკომერციო ბანკისაგან—500 მ., კ. დ. მაკაროვისაგან—5 მ., ა. ო. გ.—6 მ., ი. ა. თაიროვისაგან—50 მ. და მ. ბ. შევალიესაგან—15 მ. ამ სახით, წინად შემოწირულებანითსულ შესდგა 2,197 მანათი. გარდა ამისა, ი. მ. მამულოვმა შესწირა 50 ბოთლი კახური ღვინო.

*** სურბ-კარაპეტის ხევის პირდაპირ, პოლიციის მერვე ნაწილში, კვლავ იღებს ხალხი მტკვრის წყალს სახმარებლად და იქვე სარეცხსაცა ჰრეცხენ. რადგანაც დღეს ყველასთვის ცხადი შეიქმნა, რამდენად საშიშია მტკვრის წყალი ხოლერობის დროს, ქალაქის გამგეობამ მოახდინა ჯეროვანი განკარგულება, რომ ამ ადგილებში გააფრთხილონ ხალხი და წყალი აღარ გაატანონ სახმარებლად, მით უმეტეს, რომ ქალაქი დღეს ღარიბ ხალხს მუქთად აძლევს მილის წყალს.

*** თელავი: ყოველს ჩვენგანს ხოლერა აკერია ენაზედ და ყოველთვის საუბრის საგნად ხოლერა და იმისი მოძრაობაა. სასანიტარო დასები თელავისა კარგად ჰმოქმედობენ და რაც შეიძლება, ოქმესა სთხზავენ. სხვათა შორის, 2-რე განყოფილების დასის წევრებმა ოქმი შეუდგინეს მაზრის ექიმს, რომლის ეზოში თურმე დიდძალი უსუფთაობა ეპოვნათ. ეს ოქმი გარდაეცა ადგილობრივ მომრიგებელ-მოსამართლეს.

ხოლერასთან გამკლავების საქმემ ჩვენში ერთი არა სასიამოვნო ნაყოფი გამოიბა. თელავს სამოქალაქო ბოქაულმა მიანდო თავის ხელქვეითებს (დესეტნიკებს) ატარონ ქუჩა-ქუჩა სადეზინფექციო წამლები და მიჰყიდონ ძალად იმათ, რომელნიც თავის ნებით არა ყიდულობენ სახმარებლად ამ წამლებს. ამ ვაჟბატონებმა ისარგებლეს თურმე საქმის ამისთანა მოწყობით და 20—30 კ. წამალს რომ აძლევდნენ მყიდველთ, 1 მანეთს და მეტობითართმევდნენ. ამ ბოროტ-მოქმედებამ რამდენიმე ხანი მოიკიდა ფეხი, ბოლოს მიუხვდნენ დესეტნიკების საქციელს ზოგიერთნი დაზარალებულნი და ერთმა მათგანმა, ა. ა—მა, ყველა ეს მაზრის უფროსს აცნობა. იმან გამოძიება დანიშნა და ამასთანავე მიანდო სასანიტარო დასების თავმჯდომარეთ გამოიკვლიონ, თუ მათ განყოფილებაში ვისთვის რა გამოურთმევიათ დესეტნიკებს.

*** იქიდამვე: თელავში მოვიდა მედილიჟნეთა ახალი ამხანაგობა. ამ ამხანაგობამ ადგილების ფასი ძალიან დასწია. ძველის ამხანაგობის დილიჟნის ადგილი 1 კლასისა ჰღირს 4 მ. 50 კ., 2 რე კლასისა 4 მ. 20 კ. ბარგი ფუთ ზევით არ შეუძლიან წაიღონ და თუ წაიღებენ, 80 კ. ერთმევათ, მაშინ როდესაც ახალმა ამხანაგობამ 1 კლ. ადგილი 3 მ. 50 კ., 2-რე კლ. ადგილი 3 მ. და ფუთ ბარგზედ 50 კაპ. დააწესა. ამასთანავე 1 ადგილის პატრონს ეძლევა ნება 1 ფ. და 10 გირ. ბარგის წაღებისა. ამას გარდა, მთელის თელავის გზა-ტკეცილი 5 ნაწილად არის დაყოფილი. წამსვლელს რომელ სადგურამდისაც უნდა, იქამდის წავა, ფულიც მარტო ერთის სადგურისა ერთმევა და არა სრულის გზისა. ეს პირობები ძალიან კარგია ჩვენთვის და საზოგადოებაც თანაგრძნობას უწევს. პირველსავე დღეს ახალ დილიჟანს აუარებელი ხალხი მიაწყდა. ძველმა დილიჟნმა ცალიერმა იკადრა წაბრძანება. ამხანაგობის წარმომადგენელი ბ-ნი იაგორ ოსკანოვი პირობით ეკვრის ქალაქს, რომ ფასები არასოდეს არ მოუმატოს.

*** ქედა (ქვედა აჭარა): ჩვენში ხმა დააგდეს, ხოლერა მოედვა მთელს ქვეყანასაო, და შენი მტერია, ჩვენებური ხალხი შიშისაგან აღარ ვართ. შიშიც არის, ბათუმში რომ გაჩნდეს ეს სენი. აჭარის ფუხარა ხალხი ბათუმში ჩასვლას ვეღარა ჰბედვენ, აშინებენ ერთმანეთს, დაგასხამენ ნავთსა და დაგწვავენო. ამ შიშის გამო ჩვენი ხალხი მარილისა და ნავთის ამოტანას ვეღარა ჰბედავს ბათუმიდგან. ჩვენებურები იმალებიან, ხოლერამ არ მოგვენახოსო. ჩვენში იმისთანა ჰაერია, რომ ხოლერა ძნელად მოიკიდებს ფეხს, მაგრამ საშიში ის არის, რომ ამ გამოქცეულმა ხალხმა არ ამოიტანოს სენი.

*** იქიდამვე: აგერ ერთი თთვეა, რაც ჩვენში ნამი წვიმა არა ყოფილა. ისეთი სიცხეა, რომ კვერცხი რომ ძირს დასდო, ორს წუთს შეიწვის. სიმინდები სულ დაიხრუკა და ერთს წუთს გზად წასვლა შეუძლებელია. თუ ასე გასტანა რამდენმამე დღემ, არავითარის მოსავლის იმედი არ უნდა გვქონდეს.

*** მერვე: აქაც იჩინა თავი იმ სატკივარმა, რომელმაც მთელი ქვეყანა შეარყია. დღემდის ხალხი გულდაარხეინებული იყო და დღეს-კი ღრმად შეაფიქრინა და ვინ იცის, რას გაიგონებს კაცის ყური ექიმების უსამართლოების შესახებ. მერე რას არა სჩადიან ექიმები ამათის აზრით: ჰნახავენ თუ არა ხოლერიანს, თუ სიცხიანს, მაშინვე დასაძინებელს წამალს აძლევენ, რომ სამუდამოდ დააძინონო; თუ ავადმყოფმა წამლის მიღების უარი განაცხადა, რევოლვერითა ჰკლავენო. აი ეს ცრუ და უსაფუძვლო ამბები-ღა გახდომია ხალხს სალაპარაკოდ, ამბობენ, რომ ისევ ხოლერამ დაგვხოცოს და იმათ ხელში კი ნუ ჩავცვივდებითო.

*** გაზეთი „Каспій“-ში ვკითხულობთ: 10 ივლისს საღამოთი მკურნალთა, სტუდენტთა და სასანიტარო მზრუნველთა კრებაზედ ბაქოს ქალაქის მოურავმა ბ-ნმა დესპოტ-ზენოვიჩმა სხვათა შორის სთქვა ჩვენის გაზეთის შესახებ: გაზეთი „Каспій“-ო, სთქვა მან, მუდამ სცდილობდა ქალაქის მმართველობის წინააღმდეგის წერას, რომ ხალხში უწესოება მოეხდინა (!!), საბედნიეროდ ხალხი იმდენად პატივსა სცემს ადმინისტრაციას, რომ გაზეთს ყურიც არ ათხოვაო“.

ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენს გაზეთში პასუხი გავცეთ ბ-ნს ზენოვიჩს და ამიტომ იძულებულნი ვართ სამართალს მივმართოთ და ცილის-წამებისთვის ვუჩივლოთო.

*** იმავე გაზეთში სწერია: ტფილისიდგან ბაქოში გამოგზავნილი იყო დეპეშა პოკოსოვის სახელობაზედ შემდეგის შინაარსისა: „თქვენი ძმა გარდაიცვალაო“. დეპეშის სადგურზედ პატარა შეცდომა მოუვიდათ: პოკოსოვის მაგიერად დეპეშა პოლოსოვს მიუტანეს. პოლოსოვი ტფილისში წავიდა და მხოლოდ იქ შეიტყო, რომ მისი ძმა ცოცხალია და კარგად არის...

### საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

უწმიდესის სინოდის 10 მარტის—6 ივნისის 1890 წლის მე-585 №-რის დადგენილების საფუძველისამებრ, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის მიერ სამაგალითო, გულ-მოდგინე და სასარგებლო საეპარქიო სამსახურისათვის სკუფიით დაჯილდოებას ღირს იქმნა კასპის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი მიხეილ კულოშვილი.

ერევნის საბლაღოჩინო ნაწილის ბლაღოჩინად ნამყოფ დეკანოზის გრიგოლ გამბარაშვილის მაგიერად, რომელიც ბლაღოჩინის თანამდებობიდგან დათხოვნილ იქმნა თავისსავე თხოვნის თანახმად, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მიერ ერევნის ნაწილის ბლაღოჩინად დანიშნულ იქმნა ერევნის სასაზღვრო დარაჯის ბრიგადის ეკკლესიის მღვდელი, ისააკ იორდანაშვილი.

ახლად შემდგარ თიანეთის მე II საბლაღოჩინო ნაწილის ბლაღოჩინად მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მიერ დანიშნულ იქმნა სოფ. ახიელის სამრევლოს მღვდელი კონსტანტინე სემიჩი.

ფასანაურის პეტრე-პავლეს ეკკლესიის მთავარი შიო კაიშაური, თავისისავე თხოვნის თანახმად, გამწესდა მღვდლად კაიშაურის წმ. გიორგის ეკკლესიაში 25 აპრილს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქ. გორი.** მართალია, გორელებს ჰორიანებს და მატრაბაზებს გვეძახიან, მაგრამ ამ ჟამად ჩვენსკენ აღარაფერი არა ისმის-რა. მოუპატიჟებელ სტუმარ ხოლერის მოლოდინმა სუყველაფერი დაგვავიწყა. ზევით წახვალთ, თუ ქვევით, მხოლოდ იმის შესახებ-ღა ლაპარაკობენ ყველანი. დაარსებიდგან გორი იმ ერთის პირუტყვის კუდივით არც გრძელდებოდა, არც მოკლდებოდა და იდგა მუდამ ერთ დონეზედ დინჯად და აუჩქარებლად, მაგრამ დღეს სულ სხვაა. ნათქვამია, ერთი ჭირი მარგებელიაო: გორს თავის დღეში სისუფთავეზედ არც უფიქრნია და არც იფიქრებდა, ხოლერა რომ არ ყოფილიყო, მაგრამ ახლა-კი ცოტად თუ ბევრად დაიწყო სისუფთავისთვის ზრუნვა. დიდს სამზადისში არიან გორელები ამ ჟამად სანიტარულის მხრივ, მაგრამ, ამათ-და საუბედუროდ, რაც უფრო მიუცილებელი და საჭირო ძალ-ღონეა ამ შემთხვევისათვის, სწორედ ის აკლიათ. ვერ მიხვედრილან, ყველანი რომ ერთმანეთის ნათლიმამები არიან. იმის შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლიან, მხოლოდ ეს-კი უნდა ვსთქვა, რომ ერთად-ერთი საიმედო მკურნალი არა ჰყავს ქ. გორს, რომ ვინიცობაა კაცი ავად გახდეს ამ უცნაურის სენით, მიეშველოს მაშინვე და აღმოუჩინოს რამე საშუალება. თუნდაც ხოლერა არ იყოს და სხვა რამე ავადმყოფობით გახდეს ადამიანი ავად, ისე ამოსძვრება ბოლოკივით სული ხოლერის ხმის შიშით, რომ მკურნალი ავადმყოფს და ავადმყოფი მკურნალს ვერ იხილავს თვალით.

მართალია, გორს დაბადებიდგან თან დაჰყვა მრავალი ადგილობრივი უბაშფორთო მკურნალი, მაგრამ ჯერჯერობით ვერავინ მიუხვდა ამ ბატონებს, რომელ ავადმყოფობის სპეციალისტები ბრძანდებიან, თუმცა არც ერთის უკუღმართის და გაუგებარის სენის წამლობაზედ-კი უარს არ ამბობენ და არც იტყვიან თავისს დღეში. არიან ბაშფორთიანი პატარა კაცუნა ექიმებიც, მაგრამ ეჰ, მახლას!.. გულ-ახდით უნდა ვთქვა, რომ ეს იმათი ბრალი არ არის, რადგან მათი წმიდა მოვალეობა სულ სხვა საგანს გაუტაცნია და ძალა-უნებურად გადაუხდევევინებია სწორე გზისთვის. ქალაქის თამაშობა და ნაზთა ქმნილებათა უპირატესი თაყვანის ცემა ხორციელს ადამიანს-კი არა, თვით იმასაც-კი, ვისაც გულში ყინულის ნაჭერი უძევს, ეშმაკის კუდ-გამონასკვულს ცხენზედ შესვამს და ისე აჯირითებს.

მართლაც, რომ წარმოიდგინოს კაცმა, მკურნალების მხრივ გორი და გორის მაზრა დიდად შესაბრალისია, ნამეტნავად ეხლა, თუ ღმერთმა არ იბრალა და ეწვია ხოლერა. ერთადერთი ნუკეში აქაურებისა ადგილობრივ პოლიციის ძალ-ღონეზედ-ღაა დამოკიდებული, რომ ქალაქი სუფთად ინახებოდეს. ამ საგანზედ ჯეროვანი ყურადღებაა მიქცეული ბ-ნ მაზრის უფროსის განკარგულებით, თორემ ესეც რომ არ იყოს, თქვენი მტერი, გორელების საქმე იქნებოდა!

თუმცა ადგილობრივი პოლიცია დიდის ყურადღებით ექცევა სისუფთავის დაცვას და ჰზრუნავს ხალხის კეთილდღეობისათვის, მაინც, ამის მიუხედავად, არ შეგვიძლიან ცოტა რამ არ ვუსაყვედუროთ და არ ვუთხრათ, რომ არ იქნებოდა ურიგო იქაც, როგორც ტფილისში, სასტიკად აეკრძალათ ყველასთვის კიტრისა და სხვა ხილეულობის ხმარება. არ იქნებოდა კიდევ ურიგო, გორის საოსტატო სემინარიის ქუჩაზედ, პატარა რუ რომ ჩამოდის, გაეწმინდათ და მოეშორებინათ ხალხისთვის დამყაყებულ-აშმორებული ტალახი, რომლითაც ამ პატარა რუს ნაპირები სავსეა ამ ჟამად.

ქასტანდარ

---

**სოფ. კვირიკე** (ბათუმის ოლქი), 12 ივლისი. ამ სოფელს ზოგნი ზეგანს უწოდებენ. როგორც კინტრიშის მხრის სოფლები, ეს სოფელიც ბათუმის მახლობლადვე მდებარეობს, მწვანე ტყე-მდელოთი შემოსილს მთაგორაკებზედ. მშვენივრად გადმოსცერის შავს ზღვას. თავისის ისტორიულის მნიშვნელობით არც ერთს იმ სოფელს არ ჩამოუვარდება, რომელნიც-კი ამ მხარეზედ მდებარეობენ და რომელნიც უკანასკნელს დროს იქმნა საქართველოსთან შემოერთებული. ომის დროს აქ დიდი სისხლი დაინთქა. როგორც სხვა სოფლებში, აქაც სცხოვრობდნენ ქართველი მაჰმადიანები, ქართულს ენაზედ მოსაუბრენი, ეს დღესაც ისევ ასეა. ომამდის აქ 100 კომლზედ მეტი იყო, მაგრამ დღეს-კი 30 კომლია ქართველ მაჰმადიანი, დანარჩენნი ოსმალეთში გადასახლდნენ.

ამ სოფლის მშვენება ოსმალეთში მცხოვრებ ბერძნებს სცოდნოდათ და ამიტომ იმათ ამ 10 წლის წინად რუსეთის მთავრობას აქ გადმოსახლების ნება-რთვა სთხოვეს, მთავრობამ ნება დართო და ესენიც გადმოსახლდნენ აქ 45 კომლი. ვიდრე დასახლდებოდნენ, ბევრი გაჭირვება გამოიარეს, მაგრამ მაინც აქ გაიმაგრეს ფეხი, დაიწყეს დაუცხრომლად მუშაკობა და საქმე იქამდის მივიდა, რომ ამ ძველს საქართველოს სოფელში, სადაც ქართველთ ქრისტიანობის ნიშნების სრულიად ამოვარდა და სოფლის გარშემო მჭიდროდ ქართველი ფანატიკოსი მაჰმადიანები-ღა სცხოვრობენ, დღეს, ბერძნებმა თავიანთთვის მშვენიერი ეკკლესია გაიკეთეს და ამ ეკკლესიას ერთის ქართველის მაჰმადიანის მოწინავე კაცის თხოვნით ის სახელი უწოდეს, რაც ქართველობის დროს ჰქონია აქაურს ეკკლესიას, ე. ი. წმ. კვირიკეს ეკკლესია.

6 ივლისს ბერძნებმა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსიც მოიწვიეს და ეკკლესია აკურთხებინეს. მე იმედი მქონდა, რომ ეპისკოპოსის წირვას ქართველი მაჰმადიანებიც დაესწრობოდნენ, მაგრამ არავინ დაესწრო. ხუთი კაცი იყო და ისინიც შუა წირვის დროს კარში გამოვიდნენ და შინ წავიდნენ. ზოგიერთებს ვკითხე ამის მიზეზი და ერთმა სთქვა, რომ ერიდებათ, ეშინინთ და ამიტომ ვერ ესწრობიან წირვასაო. წირვის შემდეგ წავედი ამავე სოფლის ქართველ მაჰმადიანთა ჯამეზედ, ჩემს ნაცნობ ხოჯა ნური-ეფენდი წითლაძესთან, მაგრამ ამაოდ. ხოჯა აქ აღარ დამხვდა. ეს ხოჯა სხვაგან გადაუყვანიათ და იმის მაგიერ ვიღაც ჰანი გამოუმწესებიათ ოსმალეთიდგან, რომელიც ჯერაც არ მოსულა კვირიკეში.

ხოჯა წითლაძე ქართველი მაჰმადიანი იყო, სტამბოლში გაზრდილი, ქართული წერა-კითხვაც იცოდა. შარშან ამ ხოჯას ჯამეზედ წიგნები დავუტოვე სოფ. კვირიკეში დასარიგებლად. ამას ეს წიგნები შარშან ხალხში დაურიგებია და ზოგიერთის ყმაწვილისთვის ანბანიც უკითხებია. ვერ გავიგე, საით წასულა ეს ხოჯა. ჯამიდამ რომ გამოვბრუნდი, ამ დროს აქაურ თათრის ქართველ ქალებმა აქა-იქიდგან ბავშვები გამომიგზავნეს და წიგნების თხოვნა დამიწყეს; რამდენმამე ქალმა ველარ მოითმინა შორიდგან ყურება, ლურჯ და წითელ პირბადე ჩამოფარებულნი მომიახლოვდნენ, ხელებს მოეფარნენ და დაიწყეს „მუჰამედის ცხოვრების“ და ლოცვების თხოვნა: „შენი რჯულის მადლზედ, მოგვ ეეს წიგნებიო“. სოფ. კვირიკეს ხოჯას ამ დღეებში მოელიან ოსმალეთიდამ, ვნახოთ.

მეტი არ იქნება, რომ რამდენიმე სიტყვა კვირიკესთან მყოფ ახლო-მახლო სოფლებზედაც ვსთქვათ. სოფ. ალამბარში აქამდის იმყოფებოდა ხოჯად ქართველი კაცი მამუდ-ეფენდი ხახუტაშვილი. ეს ხოჯა შინაურულად იყო აღზრდილი და ბარე 20 წელიწადს ხოჯად ნამყოფი, მაგრამ ახლა ეს ხოჯა დაუთხოვნიათ თავის თანამდებობიდგან და იმის ალაგას გამოუმწესებიათ სტამბოლის თათრების სასწავლებელში ნასწავლი, აჭარელი ხოჯა ჰაჯი-უსუფ მამულაშვილი. ამ ქართველ ხოჯას სტამბოლში რომ. სწავლა დაუმთავრებია და ხოჯობა მიუღია, შემდეგ ეს მექაში წასულა და აქ ყოფილა რამდენიმე ხანი და ამიტომ ჰქვიან მას „ჰაჯი“. ამ სახელს მარტო მექაში ნამყოფნი ატარებენ. ეს ხოჯა 12 წელიწადია, რაც ხოჯად არის და აქ სულ ექვსი თთვეა, რაც მოსულა, ჯამეს გვერდით ამას სკოლაც გაუმართავს, შეუგროვებია 30-მდე ქართველ მაჰმადიანთ ყმაწვილები და მათ სასტიკის წესით თათრულს წერა-კითხვას ასწავლის. საკმაო ფანატიკოსია და ქართული ენაც სძულს, თუმცა თათრულზედ უკეთ ქართულს ლაპარაკობს. ამან ბავშვებს კითხვა დააწყებინა და წაკითხვის დროს ზოგიერთს ბავშვებს ქართულად უხსნიდა ლოცვებს. ამას 15 წლის შვილი ჰყავს, თითონ ამ ყმაწვილს მოლად ამზადებს. ქართულს ანბანს არ ასწავლის. მე მივეცი წიგნები და დავავალე, რომ შენმა შვილმა მაინც ისწავლოს თავის ენაზედ წერა-კითხვამეთქი.

ხოჯამ მიპასუხა: „ჩვენთვის, ბატონო, რა საჭიროა ქართული, ჩვენ ქკეითი ხალხი ვართ, ოსმალოს, ჩვენი ბინა იქით არის, იქით უნდა წავიდეთ. ჩვენ რად გვინდა ქართულიო“. ბოლოს სთქვა: „დიაღ, ჩვენი ენა ქართული ენა არის. მეტი გზა არ არის, ან მე ვისწავლი, ან ჩემი შვილი ისწავლის. იქნება ორივემ დავისწავლოთო“, და ქართული წიგნებიც მიიღო. ყმაწვილები მედრესედგან გამოუშვა. ყმაწვილებმა დაიწყეს ყვირილი, რომ „არსენას ლექსი“ არა გაქვს. მოგვეციო. მე გადავეცი. ორსამს ანბანის კითხვაც სცოდნოდა და ჩემმა ნენემ დამასწავლაო. ვინც არ იცოდნენ, მე იმათ ქართული ანბანი წავაკითხე. ანბანის კითხვის დროს ყმაწვილები მეტის სიხარულისაგან სულ იცინოდნენ. ანბანის კითხვის გათავების შემდეგ „დედა-ენას“ დაუწყეს გადაფურცვლა. საწყლები ამ წიგნმა გადარია სულ, კინაღამ დახიეს და ფურცელ ფურცელ გაიყვეს. ამბობდნენ: „ჩვენი თათრული ალიფა ბეი რას ვარგა, იქ არც ხატებია და არც კითხვა გვესმისო? ამ სოფლიდგან ომის შემდეგ 90 კომლი გადასახლდა ოსმალეთში და მაინც საკმარისი რიცხვი დარჩა აქ, 70 კომლი.

სოფ. ალა-იბრის გვერდით მდებარეობს სოფ. აჭყვის-თავი. აქა სცხოვრობს ქართველთ მაჰმადიანთ საყვარელი სახალხო მელექსე ჰუსეინ ქამჯარაძე. აქვე სცხოვრობს ერთი მოხუცი ქართველი 120 წლისა. ქართველ მელექსის ჰუსეინ ქამჯარაძის მეოხებით ამ სოფლიდგან ომის შემდეგ სულ 7—8 კომლი გადასულა. დანარჩენი აქ დარჩენილა. დიდი სოფელია. ამ სოფლის ხოჯა ჰანი იყო, ქართული ლაპარაკი იცოდა. ეს აქედგან გადაუყვანიათ და ამის ალაგას დღეს თუ ხვალ ოსმალეთიდგან მოელიან ერთ ვიღაცა ახალგაზდა ფანატიკოსს ხოჯას. შარშანდელმა ხოჯამ ორი აქაური ქართველი თათრის შვილი მოამზადა მოლებად და სასტიკად გააფანატიკოსა: ერთი ვერულაძე და მეორე ქათამიძე. ამ სოფლის პატარა ბავშვები ვნახე, წიგნებისთვის გარს შემომეხვივნენ. ბოლოს თავიანთ ხოჯაზედ დაიწყეს ლაპარაკი, რომ მედრესეში კითხვის დროს ეკლიანის ჯოხით გვცემდა ხოლმეო. ერთმა სთქვა: მე თათრული ანბანი ვერ დავისწავლე მალე, ამის გამო ხოჯამ პირში ეკლიანი ჯოხი დამარტყა, ტუჩებიდგან სისხლი წამომივიდაო. ამ სოფლის ქართველმა იმამმა სთქვა, რომ დღეის შემდეგ ხოჯებს ნებას არ მივცემთ ბავშვების ცემისასაო.

ასე და ამ გვარად, ჩვენ რომ გავყვეთ კინტრიშის მხრის სოფლებს და ავსწეროთ, დავინახავთ, რომ დღეს აქ ხოჯების გადაყვან-გადმოყვანა სასტიკის წესებით არსებობს და ოსმალეთიდგან ყველგან ჰნიშნავენ ახალგაზდა ხოჯებს, რომელთაც სწავლა სტამბოლის რუშტიაში მიუღიათ. ამ ხოჯებში ზოგნი ქართველებიც ურევიან, მაგრამ ეს ქართველები ისე გაფანატიკოსებულან, რომ თვით ოსმალებსაც-კი აღემატებიან და გადააჭარბებენ. კიდეც ამის მუცლის ტკივილი აქვს ოსმალეთსა და აქეთ იმიტომ ჰნიშნავს ასეთ ფანატიკოს ხოჯებს, რომ ამათ უფრო ადვილად გააფანატიკოსონ აქაური მაჰმადიანი ქართველები. ამ ქართველებს ახალ მუსულმანებს ეძახიან. ამ დღეებში ქობულეთის ძველ ჯამეს ახალგაზდა ჰან ხოჯამაც ასე სთქვა, რომ ჯერ ეს ქართველი თათრები ჯეელი თათრები-მუსულმანები არიან და ამიტომ ჯერ კიდევ თავიანთებურად იქცევიან ხშირადო. დღევანდელი ოსმალეთიდგან მოსული ხოჯები-კი სასტიკად მოღვაწეობენ ამის წინააღმდეგ, ესენი ძლიერ დიდს მტრობას და ზიზღს უნერგავენ ქართველებისა და ქართულის ენის მიმართ და ყველა იმას უქადაგებს, რომ თქვენს სჯულზედ მაგრად იდექით და ოსმალეთისაკენ გადასახლებისათვის იზრუნეთო. იქ არის ჩვენი ბინა და ჩვენი ადგილიო. მე დარწმუნებული ვარ, საქართველოდამ რომ ოსმალთ ჰანელ-ლაზელ ხოჯები განიდევნოს და მათ მაგიერ ყველგან ქართველები გამწესდეს, მაშინ საქმე უფრო უკეთ წავა. რაც რამ ვნება მოსდით ქართველ თათრებს, სულ ჰანელ-ლაზელ და ოსმალთ ხოჯებს მიეწერება, ანუ იმ ქართველთ ფანატიკოსს ხოჯებს, რომელთაც ოდესმე სტამბოლში უსწავლიათ და იქ სასტიკად გაფანატიკოსებულან.

ამ დღეებში ქვეიდგან (ოსმალო) მოსულებისაგან შევიტყე, რომ აფრიკის ვალი (გუბერნატორი) ქართველი-მაჰმადიანი გუბჯაძე გარდაიცვალაო. ეს კაცი იქით წასულ ქართველებს ეხმარებოდაო. იქამდის ნამდვილი მუსულმანი ყოფილა ეს, რომ ლარიბ მკვდრებთან დადიოდა და თავის ხელით ჰრეცხავდაო. აქეთ სოფლებში საშინლად მრავალია ეკკლესიის ნაშთები, ზოგიერთ სოფელში სამის ეკკლესიის ნაშთია დარჩენილი. ხშირად შეხვდებით აგრეთვე აქეთ ღვინის დიდრონს ქვევრებს. ბევრი ეკკლესიის პატივის ცემა დღესაც იციან ქართველ მაჰმადიანებმა. ერთის მოხუცისაგან შევიტყე, რომ ჩემს დროში ერთის ეკკლესიის ჯვარი და ნივთები მიწაში დავმარხეთ, რომ ოსმალთ თათრებს არ მოეტაცნათ. გარშემო ღობე შემოვავლეთ, რომ საქონელი არ მივიდეს, არ წაახდინოსო და სუფთად იქმნას დაცულიო.

აქეთ აქა-იქ თითო-ოროლა ისეთ ქართველ მაჰმადიანებსაც შეხვდებით, რომლებიც ამბობენ, რომ ჩვენ ქართველები ვართო. ამას წინად ერთს ამათგანს კიცხვა დაუწყეს ზოგიერთ ქართველმა თათრებმა, მაგრამ ამან დაუმტკიცა, რომ სცდებოდნენ. აქვე სცხოვრობს ოსმალეთიდგან მოსული ქართველი მაჰმადიანი, გვარად მჟავანაძე, რომელიც სტამბოლში ყოფილა, იქ უსწავლია ექვს წელს თათრების სკოლაში, ყოფილა თათრის სამსახურში და ოსმალეთ ს მთავრობისაგან ვერცხლის ნიშნებიცა აქვს. ამ კაცს ჩინებულად შეუსწავლია ქართული წერა-კითხვა და დღეს თავისის სოფლის ხალხს სულ იმას ელაპარაკება, რომ ჩვენ ენით ქართველები ვართ და საქართველოს შვილებიო. ამ კაცმა ზოგიერთს ქართულის წიგნების სახელებიც იცის და დიდადა სწუხს ქართველ მაჰმადიანების ასე წახდენისა და გაფანატიკოსების გამო.

სოფ. ზენეთში ერთს ოჯახში „დედა-ენა“ ვნახე. აქეთ სცხოვრობს ერთი ქართველი მაჰმადიანი მგელაძე, რომელსაც თათრობა ამ 30 წლის წინად მიუღია. 16 წლისა ყოფილა, როცა გათათრებულა. ეს საწყალი ძალიანა სწუხს რაღაზედაც, ეტყობა, რომ თავის სჯულის უკუ-გდებასა ნაღვლობს. როცა დამინახავს სადმე, მაშინვე ქობულეთის სკოლის საქმეს მკითხავს, როდის დაარსდებაო, რომ ეგები ბავშვებს მაინც დავასწავლო რამეო. ამით და იმედოვნებს ეს საწყალი, რომ მე თუ აღარას მოვესწარი, იქნება ჩემი შვილები მაინც მოესწრნენ რასმეო.

ერთმა ქართველ მაჰმადიანმა ხაიდარ-ოღლიმ გაბედა თავის შვილის ბათუმის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლაში მიცემა, თუ-კი აქ ამ ყმაწვილს თავიანთის ხარჯით მიიღებენ. ყმაწვილი 8 წლისა არის და ოსმალეთიდგან ეხლა ხანაა მოსული. ქართულს მშვენივრად ლაპარაკობს, ოსმალეთში გაზდილა, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ დაუსწავლია თათრული.

ზ. ქ.

---

## უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისში არჩევანების საქმე უკვე გამოირკვა: გლადსტონის მხარეს 40 ცოტა მეტი ხმის უმეტესობაა, თუ ისე ვიანგარიშეთ, რომ ირლანდიის ნაციონალისტებიც იმას ამოუდგებიან მხარში. აწინდელი არჩევანები იმითია შესანიშნავი, რომ, როგორც გამოირკვა, ლორდ სალისბერის სამინისტრო ვერავითარს შემთხვევაში ველარ იპოვნებს. ამომრჩევლებმა გლადსტონს მისცეს თავისი ხმა და უფლებაც აუცილებლად იმის ხელში უნდა გადავიდეს: კონსერვატორთა, სამინისტროს ალაგას ლიბერალთა სამინისტრო დაიჭერს.

ეხლა საქმე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორს მდგომარეობაში ჩავარდება გლადსტონი ახალ პარლამენტის საქმეების დაწყების დროს. ამ მხრივ საქმე ისეა დაყენებული, რომ ჰომრულისტებს მომხრენი ბევრი არა ჰყავთ და ამას-კი დიდი მნიშვნელობა აქვს სამინისტროს კეთილდღეობისათვის, თუმცა-კი ამასთან ესეც სათქმელია: სამინისტროს, თავის მომხრეების შემწეობით, რომელისამე წესის გაკანონება რომ უნდოდეს, ისეთის წესისა, რომელიც არაფრად სასურველია ქვეყნის მკვიდრთა უმეტესობისათვის, მაშინ წინააღმდეგობას დაუწყებს საპარლამენტო უმეტესობას ქვეყანა, და ეს წინააღმდეგობაც რომ ცოტა ძლიერი იყოს, ვერც ერთი პარლამენტი ვერ გაუძლებს და ვერ გაუმკლავდება. განვითარებული დასტამბული სიტყვა, საზოგადო კრებანი და მანიფესტაციებია სწორედ ის იარაღი, რომლის შემწეობითაც საზოგადოება თვალ-ყურს ადევნებს პარლამენტის ყოველსავე ნაბიჯს და გარკვეულს საზღვარს ადებს უმეტესობის უფლებას.

გლადსტონის მომხრეთა მცირე უმრავლესობა გვიმტკიცებს, რომ ინგლისში ამ შესანიშნავს მოხუცს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს და ამიტომ იგი ყოველთვის იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს იმ მკვიდრთა აზრსა და სურვილს, რომელნიც მას არ მიემხრნენ, მაგრამ რომელთაც არაფრად ვერ ჩასთვლის, რადგან მათში დიდ-ძალი ამომრჩეველები არიან. ლიბერალურს დასს ამ მახლობელს მერმისში აზრად უნდა ჰქონდეს არა იმდენად თავისის პროგრამის განხორციელება, რამდენადაც ისა, რომ საზოგადოების გული მოიგოს, მოინადიროს ახალ არჩევანებამდე, რომლის მოლოდინიც, უეჭველია, დიდხანს არ მოუნდება.

ამ საზოგადოების გულის მონადირების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რა პოლიტიკას დაადგება ახალი სამინისტრო მუშათა საქმეში.

არჩევანებმა გვიჩვენა, რომ მუშაკაცთა დასი კმაყოფილი არ არის გლადსტონის პროგრამით, თუმცა ეს პროგრამა უფრო საკეთილოდ და სამჯობინაროდ მიაჩნია, ვიდრე კონსერვატორების პროგრამა. ამ გვარად, გლადსტონი რომ ოდნავაც არის უკუ უდგეს თავისს დაპირებულს პროგრამას, მუშანი დიდს წინააღმდეგობას გაუწევენ და ეს მუშათა უკმაყოფილება-კი დაჰღუპავს ახალს სამინისტროს, რადგან უნიონისტები ამ გარემოებას თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ. ამას გარდა, უეჭველია გლადსტონი ეცდება შემოიღოს კანონი მუშათათვის დღეში 8 საათის მუშაობისა, რადგან ამითი დიდად მოიგებს მუშათა გულს და ზურგს გაიმაგრებს, გაიძლიერებს. ასე მოქცევა გლადსტონის მიერ მით უფრო მოსალოდნელია, რომ ირლანდიის საქმეში იგი სრულიად დამოკიდებულია ნაციონალისტების-გან. რომ გაემკლავოს როგორმე უნიონისტებს, ერთად-ერთს საიმედო სახსარს უნდა მიჰმართოს და ეს სახსარია მუშაკაცთა თავის მხარეს მიმხრობა.

## დეპეშა

15 ივლისი

**პეტერბურგი.** სამოსწავლო ოლქებში დარიგებულია სავალდებულო დარიგება ხოლერით ავად გახდომისაგან უზრუნველ-საყოფელად.

პეტერბურგში სტამბოლიდგან მოვიდა ელჩი ნელიდოვი.

ურალის ოლქის ქ. გურიევში ხოლერა გაჩნდა ყირგიზთა შორის, აგრეთვე კერჩისა და თეოდოსია-სამარის კარანტინებში და სტავროპოლის სოფ. სოლოშენსკს 28 ივნისს.

კავკასიაში კვლავ გარდაიცვალა 455, დონის ოლქში—226, სარატოვის გუბერნიაში—177, ასტრახანისაში—140, სამარისაში—105, სიმბირსკში—12, ყაზანის გუბერნიასა და ნიჟნი-ნოვგოროდში—ცრა-ცხრა, ვორონეჟში—1 და სერგადსკის მაზრაში—1.

გაზეთები იუწყებიან, რომ სექტემბერში ენისეისკში პირველი სასოფლო სამეურნეო გამოფენა იქნება გამართულიო.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ხომალდის ნოქარს, რომელმაც ორი ხოლერით ავად გამხდარი მუშა მდ. ვოლგას ნაპირზედ დასტოვა, სამის თთვით საპატიმრო გადაეწყვიტა, იმის ბრძანების აღმასრულებელნი-კი—ხოლერის საავადმყოფოს მოსამსახურეებად გამწესდნენ.

მუქარის წერილების გამო ნიჟეგოროდის გუბერნატორი აცხადებს: „თუ ვინმე უწესოებას ჩამოაგდებს ჩემს განკარგულებაში მყოფ სამხედრო ძალით აღვადგენ, უწესოების ჩამდენთ იქავე ჩამოვარჩობ, ხოლო უწესოებაში მონაწილეობის მიმღებთ-კი იქავე, ყველას თვალ-წინ, სასტიკად დავსჯიო“.

**პარიჟი.** დარწმუნებით ამბობენ, რომ შარტრის საგიჟეთში ხოლერა postras-ით ავად გახდა 42 კაცი და 20 გარდაიცვალაო.

**ვენა.** გალიჩინისა და ბუკოვინის სოფლის მკვიდრთ აღეკრძალათ ხოლერის დროს რუსეთის საზღვარზედ გადასვლა და რუსეთის იარმუკებზედა და წმიდა ადგილებში სიარული. აღეკრძალად აგრეთვე ჯგუფ-ჯგუფად სიარული სასწაულ-მომქმედ რაბინებთან.

**ბერლინი.** სავაჭრო პალატათა უმეტესობამ გამოფენის გამართვა ამჯობინა 1897 წ., რადგანაც ამ წელიწადს არის დაბადებული იმპერატორ ვილჰელმ I.

**კოპენ ჰაგენი.** დღეს გამოცხადდა იუსტიციის მინისტრის განკარგულება, რომ რუსეთიდგან ჩითეულობის შეტანა აღკრძალულიაო.

**ბერლინი.** მთავრობამ სხვა-და-სხვა ღონისძიებანი მიიღო ხოლერის წინააღმდეგ. ისეთივენი, როგორც 1884 წელს.

პეტერბურგის ბირჟა, 14 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,96 | 6,98 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 159 1/4 | 160 | — ,, |
| სანეთიანი ვერცხლის ფული . . . | 1,08 | 1,10 | — , |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — , | 235 1/4 |
| —მეორისა . . . | — ,, | — ,' | 223 1/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | 192 | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102 1/2 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99 1/4 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102 1/2 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99 /2 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 93 3/4 | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაით.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითსაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


## განცხადებანი

საკომერციო კურსები

(ტფილისი მთის ქუჩა № 9)

ამით ვაცხადებ, რომ ამა წლის ივნისში ეს მეათედ შეასრულეს სპეციალური საკომერციო სწავლა მოსწავლე ქალებმა და ვაჟებმა იმ პროგრამით, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ, და მიეცათ კიდეც ჯეროვანი მოწმობანი. ვისაც სურს საკომერციო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი სამსახურში მიიწვიოს, შეუძლიან მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს.

საკომერციო კურსებში მიღება დაიწყება 1 ენკენისთვიდგან. პროგრამისა და კურსების წესდების მიღება და დაბარება შეიძლება კურსების სადგომიდგან და ძმათა წოვიანოვების ბანკის კანტორაში, სიონის ქუჩაზედ. (24—80—3)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto sperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—14)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

რუხი მგელი

მოთხრობა გ. წერეთლისა

ფასი სამი შაური

წარმოება
ასფალტის სამუშაოთა.
ისყიდება
ასფალტი და გუდრონი

უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.

მსურველთ უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს; ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 პ. პ. სუხანოვს. (15—14)

მაღაზია სარპინკებისა

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი აღაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები სავაჭრო სახლი:

ბენდერ და სცეფანოვი

(35—56—37)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი;

ზადიგი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, | |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, | |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, | |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, | |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე-და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკის სახლებში, № 21.